


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რადოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაქების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОЗДА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერა „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.



რედაქციის უფროსი — დ. სარადოვი.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციაში სტრიქო-
ნებისა ითვლება მათგან დაქვეყნდნისა დაგეგმვისა
ლობაზედ.

თუ საქართვების მოთხოვნა, რედაქცია გააწვინებს და შეაყო-
ფებს დახმავებად გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდავ წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბეჭდის ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლე- ბელთათვის 3 მანათი.

შინაური ქრონიკა

ამ დღეებში, როგორც ვა-
ნობეთ, ძველსაში ჩამოვა ფინანსთა
მინისტრი და შავი ზღვის ნავთ-საყუ-
დრებს დათვალა იერებს.

ანტერპენის ხალხთა - შორის
გამოფენაზე ძველსაშიდამ შემდეგ პირთ
მიუღიათ საჩუქარი: საპატია დობლო-
მები: 1) ძმ. ნობელებს კროსინისა
და მინერალურ ზეთებისათვის; 2) რა-
გოზინს და კამპ. მინერალურ ზეთე-
ბისათვის. მკროს მედალი ს. მ. ში-
ბავეს მინერალურ ზეთებისათვის. მე-
ცხლის მედლები: 1) თ. ბაგრატიონ
მუხრან-ბატონს 2) ლაზ. შობიაშვილს
3) თ. ჯორჯაძეს და 4) მაკაროვს
ღვინოებისათვის; 5) ბერგერს, 6) შა-
გივესა და სარქისოვს და რუს-ამერი-
კის ნავთის მწარმოებელთ ამხანაგე-
ბას მინერალურ ზეთებისათვის. ბრონ-
ზის მედლები: 1) ს. შობიაშვილს და
კამპ. ღვინოებისათვის; 2) სარაპეტოვს

და კამპ. და 3) მირზაჯოვს თამბა-
ქოსათვის. საპატია და ასება: არტ.
ალიბეკოვს თევზისათვის და თევზის
წებოსათვის.

თიანეთის მაზრის უფროსი
აგვისტოს 20-ს, როგორც «ძველსაში»
გვანობებს, მრწოს ხეობაში მისწე-
ვია ფოსტის გამცარველებს, რო-
მელთაგან ერთი მოუკლავთ, ერთი
დაუტყერიან და დანარჩენებს დასდევნე-
ბიან პრაგვის ხეობაში, საითაც გადასუ-
ლან ავაზაკები.

სარგა ხანია, რაც ლაპარაკო-
ბენ მილით ნავთის გაყვანის პროექ-
ტზე, რომელიც ფინანსთა მინისტრისა-
თვის გადაუციათ პროექტის შემდეგ-
ნელი მმართველობისაგან არ ითხოვს
მატერიალურს დახმარებას. მისი პი-
რობა შემდეგია: თუ მილით გადაყვა-
ნილ იქნება 30 მილიონი ფუთი ნავ-
თი, მიეცეს მას ფუთზე 11 კაპ., თუ
40 მილ. ფუთი 10 1/2 კაპ. და თუ 60
მილ. ფუთი — 10 კაპ. თუ ეს პროექ-
ტი მოწონებულ და დამტკიცებულ

იქმნა, ცხადია, ბაქოს ჩამოერთმევა
ნავთის წარმოების მონოპოლია და
მივიწყებული შოთი, რომელიც უფ-
რო მოსახდენ ადგილად უცენიათ ნავ-
თის საქმის წარმატებისათვის, კვლად
აღზღდება და გაუსწორდება ბათუმს,
რომელმაც სულ მცირე ხანში ასე
რიგად დასცა იგი.

ხოლერის მოლოდინს — რო-
გორც «ძველსაში» იწერება, — არც ჩვე-
ნი რკინის გზის საზოგადოება უცქე-
რის გულ-ხელ დაკრფილი: რამდენი-
მე სტანციაზე ჰოქრობსო საზოგა-
დოება გახსნას დროებით საავადმყო-
ფონი ხოლერისაგანისათვის; ოც-და-
ათი ვაგონი მიჩენილი იქნება ავად-
მყოფების გადასაყვან-გადმოსაყვანად.

სამეგრელოდამა გვწერენ. «დ.
ზუგდიდში გავრცელებულია ხმა, ვი-
თომ მმართველობას გარდაეწყვიტოს
სამსაჯულოს მესამე განყოფილების
დაწესება ს. ხობში მომავალ თვეს.
ეს ხმა მართალია თუ არა, — ჩვენ ჯერ-
ჯერობით არ ვიცით, მხოლოდ ხო-
ბის ახლო-მანლო მდებარე საზოგა-
დობანი განსაკუთრებით დიდს სი-
ხარულით მოელოან ამ გავრცელებუ-
ლი ხმის გამართლებას. მართლაც ს.
ხობიდან დ. ზუგდიდამდის 26 ვერ-
სია; ზოგი ერთნი საზოგადოებანი

(ზუგდიდის მაზრისა) 50 ვერსზედ
არიან ზუგდიდს დაშორებულნი. ამას
რომ მიეუბნათ ხერიანი გზების
უქონლობა, ადელი წარმოსადგენი
იქნება, რა ძვირად უჯდებათ საქმის
მექანთ ზუგდიდში სიარული. ამი-
სათვის სასიამოვნოდ უნდა ჩაითვა-
ლოს ზოგი ერთი საზოგადოებისათ-
ვის ამ ამბის გამართლება. რაკი სე-
ნაკის მაზრას ელირსა სამსაჯულოს
მესამე განყოფილება, იმედია, ზუგ-
დიდის მაზრასაც არაგუნებენ.»

ბორის მაზრის თავად-ახნაურ-
თა წინამძღოლი კანდიდატი ივანე
ღვინთის-ძე სულხანაძე ბ შთავარ-
მმართველმა დამტკიცა ამ თანამდევ-
ბობაზე.

„დროების“ კორესპონდენცია

ს. მ. გლდანი, აგვისტოს 15 ს.
თბილისის ახლო მანლო სოფლებში
ზღდანისა და ღლიმისთანა ნაყოფიანი
და სარგებლიანი სოფლები, მგონი,
არც ერთი არ უნდა იყოს. ეს ორი
სოფელი მართლაც რომ სანაქებოანი
არიან, როგორც ვენახებით, ისე პუ-
რით, ერბოთი და წყლით. ზღდანი
ბევრად წინ უსწრობს ღლიმს. იგი
მდებარებს თბილისის მარცხენა მხა-

რა რიგათ ვიზობდი ამ სახლში
დაბრუნებას! უნებლიედ გამაკანკა-
ლებდა, როდესაც წარმოვიდგენდი
ჩვენს დაღვრემილს სახლსა, სადაც
ნახევარი მხარე სრულიად ჩაკეტილი
იყო და ბალის ბილიკები ბალახით
გაბმულიყო სქლად დაბურულ ხეების
ქვეშ. მართლა უცნაური სახლობა
იყო ჩვენი ოჯახი: ვთამამებულნი
მსახურნი, რაც სურდათ, იმას ჩაღო-
დენ. იქ ჩემი კაპასი და ბრახიანი
მამა ხან შეიკეტავდა მთელი ღლით
თავის კაბინეტის კარებს, ხან უჯავრ-
დებოდა თავის კერძობას და არამც
თუ უწყალოდ ლანძღავდა, ცემი-
თაც კი არ ინდობდა, როდესაც,
უსამართლობის მიჩვევის გამო, მცი-
რედს რასმეს გამოეკიდებოდა. მე
ყოველთვის მოქანცული ვბრუნდე-
ბოდი სკოლაში იმის უხასიათო ქე-
ვისაგან. ამის გამო ძალიან გამე-
ხარებოდა ხოლმე, როდესაც დღე-
სასწაულებში შინ-მისულის მამა შინ
არ დამიხედებოდა. ამ შემთხვევაში
დღესასწაულის დღეები თუ მხიარუ-
ლად არ გაივლიდა ჩემთვის, მშვიდად
და დაწყნარებით მაინც ვიქმნებოდი.
მხლა კი მამა-ჩემი შინ იყო, ლილი-
ფილდში იყო; ეს შემატყობინა მე
სკოლის მასწავლებელმა, რადგან ში-
ნიდან წიგნს არაფინა მწერდა. შინ

— ჩემთვის სულ ერთია! — ფუხასუ-
ხე დაუდევნელად.
— სულ ერთია?... ბანა შინ დედ-
მამას არა ნახავ?
— მე არა მყავს დედა! — სწრაფად
მოფუწვიტე სიტყვა ჯემის, წარბები
შევიკმუნე და ოღნავ შევაქციე ზურ-
გი.
— შთუოდ ისიც მომკვდარა, რო-
გორც დედა-ჩემი? ძალიან მებრალბი
ჩარლი! მაგრამ რასაკვირველია, მამა-
შენი ცდილობს, უდევლობა არ შევა-
მჩენვიროს?
— სრულებითაც არა! იმას ჩემთან
არავითარი საქმე არა აქვს. როცა
შინა ვარ ხოლმე, ის ჩემთვის არასა-
ზრუნავს და მეც თითონ ვერიდები.
მე მსურს, რომ დავრჩე დღესასწაუ-
ლებში აქ მისის მურვისთან...
— მე კი არაფერია! ჩაფიქრებით
შენი შინა თავის ქნევით კოქლმა ყმა-
წვილმა. მაგრამ იქნება დაავიწყდეს
მამა-შენს შენი წაყვანა, ჩარლი, და
მამა-ჩემი ორნივე ერთად მშენიე-
რად გავატარებთ აღდგომას! — დაუმა-
ტა იმან მხიარულად.
მაგრამ მე არ ვეთანხმებოდი ჩემი
სკოლის ამხანაგის იმედებს. ბამოცდი-
ლებით ვიცოდი, რომ, თუ მამა-ჩემს
დავავიწყდებოდი, სკოლის მასწავლე-
ბელი თითონ გამეზენიდა სახლში.

დედა

ახლოვდებოდა აღდგომა. სვედიანი
პარხვის დიდი დღეები თავის მოსაწყე-
ნი ცერემონიებით თავდებოდა და ბუ-
ნებასაც თითქოს უხაროდა დღესას-
წაულის დადგომა: ნათელი გაზაფხუ-
ლის მზე მოწმენდილ ცაზედ სასია-
მოენო შუქს ჰფენდა. ასკილის ბუჩ-
ქებს ყვავილი გადაფურჩქნოდა და თა-
ვისუფალნი ფრინველნი წკრილა ხმით
ქიკიკობდნენ. ღილის სწავლის შემდეგ,
ჯგუფად გამოფენილ ცელქ ყმაწვი-
ლებს, სკოლის ეზოში, ჩიტებსა და
შოშიებზე არა ნაკლებად უხაროდათ
გაზაფხულის მშენიერი ჰაერი. შმა-
წვილები, სიამოვნების აღტაცებით,
საგონობლად ასაჩუქრებდნენ ერთმა-
ნეთს ბექებში მუშტის ცემით, მაგრამ
გალახულებს ავიწყდებოდათ მეტოქე-
სადმი ჯავრის ამოყრა; თვითვეულ
მათგანს მხოლოდ ის ახსოვდა: ხვალ
დიდი ხუთშაბათი დადგება და ყველა-
ნი წაელენ-წამოვლენ სკოლიდან თავ-
თავიანთ სახლში, რომ აღდგომა მშობ-
ლებთან გაათენონ.
მართა მე არ მინდოდა მონაწი-
ლეობის მიღება ამხანაგების ქრამულ-
სა და ცელქობაში; მე ჩამოვჯექი

რეს. სოფ. აგვალის მახლობლი, მთის ძირიდან. მცხოვრებთა რიცხვი 150 კომლამდის არის, თორმეტი კომლი სომხის საწმინდოებისანი არიან, თუმცა ერთი, ჩვეულებით, ზნით და საოჯახო მოწყობილებით ქართველებსაგან არ განიხივებია; ამათში რამდენიმე პირი-კი ურევია, რომელთაც ვაჭრობა აქეთ დაწესებული, და უნდა ესთქვათ, რომ მეტის მეტად ლაზთიანადაც ატყავებენ აქაურ გლეხ-კაცობას. ამ სოფლის მებატონენი არიან: აქიმოვი, სურგუნოვი, მანდილოვი, მამამზოვი და ათულიანი. ქველა ესენი საზაფხულოდ აქა სცხოვრებენ და თავთავიანთთვის მშვენიერი სახლებიცა აქვთ დაკეთებული.

ბლენები აქ სახლებს მბილისურად იღვმენ; რომ ნახათ მთელი სოფელი, ერთ სახლს ვერ იპოვით, მიწური იყო; ქვას იქვე ახლო კლდემდე ეწიღებოდა — დიდრონ ქვის ლოდებს, რომელსაც ყვითელი ფერი აქვს და მთლად სახლის კედლებს ამ ყვითელი ქვით აკეთებენ, ასე რომ ამისთანა კედლები ზოგ ეკლესიებსაც არა აქვთ. ძარ-ფანჯარაც რივიანია. მრთის სიტყვით კაცი გაჰკვირდება და იქნება ეწყინოს კიდევ რომ გლდანელებს ისეთი კოპწია სუფთა სახლები უდვას და აგვალელები და სხვა ახლო მახლო სოფელელები კი მიწურს გამოებაში არიან ჩამძვრალნი.

ბლენები მებატონეებს მეოთხედს აძლევენ. მომეტებული ნაწილს მენახები ნემეცების მზგავსადა აქვთ გაშენებული. ბაღში თითქმის ყველაფერი: ყურძენი, ხილი, კიტრი, კომბოსტო, ლობიო, სტაფილო, მწვანი ლეულობა, ხალათა და სხვ. ნამუშევარი მბილისში ჩამოაქვს და ჰყიდიან; ყურძენსაც იმეტებენ, მაგრამ

დაბრუნება ჩემთვის აუცილებელი იყო და კრძალვით ვფიქრობდი ამ ამბავზედ. იმ დროს მე ვიქნებოდი არა უხნესი რვა წლისა. მე არამც თუ არ მახსოვდა მშობლის ზრუნვა და აღერსი, არაეისაც კი არ უთქვამს დედაჩემზე და არც უხსენებიათ იმის სახელი.

— რა სახისა იყო დედა-შენი? მოულოდნელად მკითხა ჯემიმ, რამდენისამე ხნის სიხუმის შემდეგ, რომლის დროსაც ჩვენ ორნივე გავებით ჩვენს ბედზე მწუხარე ფიქრებს. — შერათმა ჰქონდა მისის მურვისავით, თუ შავი, როგორც აქაურ მზარეულ ქალსა?

— სწორე ვითხრა, არ ვიცი, დალონებულმა ვუპასუხე მე. — როგორც მახსოვს, არსად მინახავს მე დედაჩემი.

— მაშ სახლში არა გაქვს იმის სურათი? შენიშნა გაცუბულმა ჩემმა ამხანაგმა. — მოითმინე, მე ამ წამში გიჩვენებ შენ განსვენებულის დედაჩემის სურათს.

იმან გაიხსნა გულთან კიტელი და ამოიღო მედალიონი გაფუჭებული ფოტოგრაფიით. მედალიონში იჯდა სახე ერთის შეუნიშნავი ყმაწვილი ქალისა ძველი მოდის კაბით.

— მშვენიერი არ არის ესა? შეპყვი-

ისე კი რომ დასაწურათაც რჩებოთ. აქაური ღვინო თუნგი შვიდ შაურად იყიდება. მრთის სიტყვით ბლდენელები სხვა აქაურს სოფლის გლეხებზედ გაცილებით წინა სდგანან, თუმცა ამათშიაც არიან უმიწა-წყლო, ბოგანო გლეხები, რომელთაც არც მიწა გააჩნიათ, არც ვენახი, არც ხარი და არც ქათამი.

ნაყოფიანი ადგილია ეს სოფელი და ამიტომაც დაჰპატრონებოდა მბილისის ჩარჩები. ამათი გავლენა ისე ძლიერია, რომ მთელს სოფელში კალიებებით არიან მოფენილნი; თუ აქაურს გლეხ-კაცობას არ ეშველა და პატარა სწავლა-განათლებით წინ არ წადგეს ფეხი, მაშინ მთელს ამ სოფლის გლეხ-კაცების მამულებს მბილისის ჩარჩები შეიძენენ და თავიანთ საზაფხულო სადგომად გადააქცევენ. ამის მაგალითები ბევრია დღესაც.

ამიტომ მიემართათ ამ სოფლის მოწინავე შეძლებულ გლეხ-კაცებს, რომ მათ ყურადღება მიექციონ თავიანთ შვილების განათლების საქმეს და ეგები რაიმე საშუალებით სკოლის გახსნა მოახერხონ. ამათში ბევრი იმისთანა გლეხებიც ურევია, რომელთაც შვილების გამოზდა სოფლის სკოლაში-კი არა, ქალაქის საშუალო სასწავლებლებშიაც შეუძლიანთ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეში სოფლის მღვდელიც მიიღებს მონაწილეობასა და ჩაგონებს გლეხ-კაცებს მათი შვილების განათლების საქმეს. ამის მოხერხება მით უფრო ადვილია, რომ ბევრმა გლეხმა ნატურა გამოაცხადა სკოლისა და დაუმატეს, კიდევ ჩვენმა «უეზდის ნაჩაღნიკაცა» გვთხოვა რამდენჯერმე სკოლა გახსენითო, მაგრამ ზოგიერთმა

რა ყმაწვილმა ალტაცებით და მიიკრა ტუჩებზე პატარა სურათი. რარიგად მენატრება, რომ ეს ცოცხალი იყო. „თუოდ ძალიან მეყვარებოდა დედაჩემი!..“

მე არა ვუპასუხე-რა. შეცრად გავიქრე მხოლოდ, — დედაჩემიც, რომ მამასავით მომქცოდა, რა იქნებოდა ჩემი მდგომარეობა იმათ შორის? ეს გავიფიქრე, მოვბრუნდი და ამოვიოხრე.

მე სრულებით ვერ წარმომედგინა თვალ-წინ დედაჩემი. მე იგი აზრადაც არ მომსვლია თავში, და არც ვიცოდი, ვისთვის უნდა მეკითხა რამე დედაჩემზედ. მამა ჩემი განმარტობით უსაგნოდ სცხოვრებდა ჩვენს მიყრუებულ სახლში; ის გამოდიოდა თავის ოთახიდან მხოლოდ საღილისა და საუზმისათვის და სტუმარს არავის არ მიიღებდა. მოახლებებთან მოდიოდნენ მათი ნათესავები, ძმები და საქმროები, რომელთაც ქურდულად მიიღებდნენ ხოლმე სამზარეულოში; სახლის პატრონი კი მარტო-მარტო იჯდა დაღერემილი და დაღონებული, ანუ ცოფიანსავით გაფთრებული, თუ გა-მოიყვანდნენ შეთვისებულ აპატიიდან. მასაკვირველიც არ იყო, რომ მე მსურდა აღდგომა მისის მურვის სკო-

შედლებულმა პირებმა არ მოინდომესო. ამათ უთქვამთ ჩვენს შვილებს მბილისშიაც კარგად დაეზდითო. ეს შეძლებული გლეხები მბილისის ვაჭრებთან დანათესავებულნი ყოფილან და, რასაკვირველია, ქალაქში შეიღებოს ჩამოყვანა არ გაუჭირდებოთ. რა თქმა უნდა, რომ საყვედური ამ სოფლის მებატონეებსაც ეკუთვნის.

ამ სოფლის გლეხებისთვის საჭიროა მხოლოდ დამრიგებელი და გზის მაჩვენებელი, თორემ საქმე ადვილად მოხერხდება. შესაძლებელი იყო, რომ ამ სოფლის გამოჩენილს მოქიდავესაც ერთი ორჯელ გემართა ქილაობა ზემოდ აღნიშნული საქმისათვის და მთელი სოფლის მადლი მოესხა.

ფ. ჯ.

სოფ. თქალათი, (სენაკის მაზრა).

ჩვენი სოფელი მდებარებს მდინარე ტივის ნაპირზედ ორ ვერსზედ ახალ-სენაკიდან და მცხოვრებთა რიცხვი ხუთასამდე აღის. დიდი ხანია, რაც ამ სოფელში ერთ-კლასიანი სოფლის სკოლა არსებობდა, რომელსაც თეკლათელებისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია; აქედამ ორასზე მეტი წერა-კითხვის მკოდნე ბავშვი გამოსულა. 1880 წელს ეს სკოლა გააუქმეს და სამაგიეროდ ახალ-სენაკში გაიხსნა ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი სენაკელებისა და თეკლათელების დანმარებით, ასე რომ აქ სწავლობენ ბავშვები როგორც სენაკელებისა, ისე თეკლათელებისა.

სოფელი თეკლათი სხვა სოფლებთან შედარებით სამეგრელოში განათლებულად ითვლება, მაგრამ ცრუმორწმუნეობას აქ ისე აქვს ფეხი გადგმული, როგორც სხვაგან, მეტადლაში გამეტარებინა მაგრამ ამ ხანად განგება სრულიად მოულოდნელ სიამოვნებას მიმზადებდა. ის იყო გაათავეს ჩემმა ამხანაგებმა ბურთაობა, რომელსაც შეექცოდნენ მე და ჯემის ლაპარაკის დროს, და უცებ სკოლის ეზოში გამოჩნდა სახლი-პატრონის ცოლი. ძეთილი მისის მურვი მხიარულის ღიმილით მოვიდა ჩემთან.

— მე შენთვის სასიამოვნო ამბავი ვიცი, მერი, მითხრა იმან და ხელი გამომართვა. წადი მისაღებ ოთახში და იქ ნახამ ერთს პირს, რომელსაც შენთან მოლაპარაკება უნდა.

— მამაჩემი ხომ არ არის? მკითხე მე შეშინებულმა.

— ოჰ, არა! მიპასუხა მისის მურვიმ, ეცადა აღერსიანის სიტყვით ჩემს გამხნეებას და დაყვავებით შეებო ჩემს მხარს; შენი ნახვა სურს ახალს მეგობარს — ყმაწვილ ქალს, რომელიც უეჭველია ძალიან მოგეწონება.

— შამწვილი ქალი! მანივმოარე მე და არ ვუჯერებდი ჩემს ყურებს, სრულიად გაოგნებული დავიჩი ამ ამბისაგან.

ჩემი ამხანაგები ყაყანიტ გარს შემოგვეხვედნენ.

— იმან უნდა წაიყვანოს მერი შენა? — მკითხამდნენ ისინი მისის მურვის.

რე მკითხაობას. ამ სოფელში მგავლითად ერთი ოთხმეტი წლის დედა-კაცია, გლეხების თროვნიტ სოფლებან, ძილამ აქ განგებ ჩამოსული. ეს დედაკაცი მკითხაობის გარდა ექიმობასაც მისდევს და დიდძალი ხალხი ეტანება. მებერვალს აქეთია აქ არის და კარგა ძალი ფულიც მოაგროვავ, რადგან მისი სახელი მთელს სამეგრელოშია გათქმული.

მ. თქალათი.

დ. ხონი, აკვისკოს 12-ს. ხონის საზოგადოებამ აღიჩინა მამასახლისი. ხონის საზოგადოებამ, რომელიც ამ ერთ შემთხვევაში მაინც შეადგენს ერთ დიდ ოჯახობას, დანიშნა ოჯახის თავი ე. ი., ისეთი პირი, რომელმაც სამის წლის განმავლობაში უნდა აე-კარგიანობა გაუწიოს ამ ვეებერთალა სახლობას, დაიცვას მასში წესიერება, სდევნოს ბოროტება, აამალოოს კეთილი ზნეობა და ცხოვრებაში წინ წაუძღვეს...

მლის 10 საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენს სალაყბო მოედანზედ, რომელიც საუკუნოებით ნახარებ ჰანდრის, ცაცხვის, და სხვა ხეებით საუცხოვოდ დამშვენებულია, გამოიშალა მთელი კრება აქაური საზოგადოებისა. აქ არც მღვდელი აკლდა, არც ერი; თავადი, გლეხი, მდიდარი, ღარიბი, ყველანი შეკრებილიყვნენ; თითოეული ცალკე და ყველანი ერთად რაღასაც მოელოდნენ.

— შეგროვდით, ერთად თავი მოიყარეთ! ბრძანა ვილაც უფროსმა და, გარდა თავად-აზნაურობისა და სამღვდლოებისა, რომელნიც ყრილობას მოაშორეს, ხალხი დაეწყო რიგზედ.

— იქნება... ადვილად შესაძლებელია! — უპასუხებდა იგი.

— მე კარგია!

— როგორ იქნება, მისის მურვი!

— ძანიკული ხომ ხვალ იწყება!

— აი, ჩვენ ხომ არას დროს არ დაგვითხოვთ ერთი დღით ადრე; მერი ვიზედ რა მეტია? მოისმა ყოველი მხრიდან წინააღმდეგი და უსიამოვნო ყვირილი.

მე ვთრთოდი, როგორც დამნაშავე, დანაშაულის მოქმედობის დროს დაქვრილი. მთელი სკოლის შესაშურეებელ საგნად აღებული, რას არ მიეცემდი ქვეყანაზე, რომ შინ დაბრუნების ყამი განმეშორებინა.

— წავიდეთ სასტუმროში, ჩემო კარგო; მოსული ქალი მოუთმენლად ელის შენს ნახვას, — სთქვა სკოლის მასწავლებლის ცოლმა. — შემდეგ გარდასწყვიტოთ ჩვენ: წახვალ დღეს, თუ არა:

მისის მურვიმ მიბრძანა საქაროდ პირის დაბანა და თმის დეარცხნა; შემდეგ ღინჯად გავეყვი თან უშნო სასტუმრო ოთახში, სადაც მელოდა მოსული ქალი.

(გაგრძელება იქნება)

— საზოგადოების სრული ყრილობამ აღიარებდა მამასახლისის სამის წლის ვადით; მამასახლისად აღიარებდა კეთილ-საიმედო სინდიკატი და პატიოსანი პირი, რომელიც არავითარ პასუხის გეგმაში არა ყოფილა...

— რიგიანი მამასახლისი ძლიერ საჭიროა საზოგადოების კეთილ-წარმატებისათვის და აგრეთვე სხვა სოფლის მოხელეებიც. მქვენს საგლეხო სასამართლოში სწავლება თქვენი საქმეები და იქონიერ სახეში, რომ მსაჯულთა მამასახლისს ვიდრე კიდევ უფრო მეტი სინდიკატის მექონე კაცები დანიშნოთ.

ამ დროს თამაშად წინ წამოადგება ერთი ვილა—კარგა გვარზედ ჩასუქებული კაცი და მოახსენებს უფროსსა და ხალხს:

— მე ექვსი წელიწადი მიმსახურებ მამასახლისის მოვალეობაში (სამი წლის თქვენი უკანასკნელი სამსახური მამის ბრალია, ამბობს ერთი ვილა და სხვები სიცილს აყრიან) და შეიძლება თანამდებობის შეუსაბამო საქმე ბევრი ჩამედინოს, მაგრამ თუ რომ საზოგადოება ამის მიუხედავად კიდევ აღიარებდეს, ეს დიდად სასიამოვნო იქნება ჩემთვის და ყველას დიდად დაუფიქრებ.

— მე რა მენაღვლება, თუ ავირჩევ, ჩემთვის სულ ერთია, ბძანა უფროსმა.

ხალხში ბევრგან ხმაურობაა — ღმერთს სიმართლედ უყვარს და კაციც ამას უნდა მისდევდეს, ბატონო, და უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენს წინაშე დგას ცხლა ორი პირი, რომელთაც არავითარი ღონე არ დაუკლიათ მეცადინეობისათვის, როგორც ხელში ჩაიგდონ ეს თანამდებობა და შემდეგ იგი «გამოიყენონ». მართი მათგანი მამასახლისია და მეორეც—ეს (მეორეზედ უთითებს); გთხოვთ იქონიოთ ეს სახეში და ქმნათ კიდევაც თავ-დარიგი, რომ აქ მოტივინე გავლენიან პირებს ბევრი ენა-ბრტყელობის ნება არ ჰქონდესთ, ამბობს ვილაცა.

— ამარა-კმარა! ისა ჰქენით, რაც რიგია! დაფიქრდით და აირჩიეთ, ბძანებს უფროსი.

ხალხი უფროსისაგან ცოტა მოშორებით სდგება 10-15 წამით რიგის შემდეგ, ერთი ნაწილი ყრილობისა ბრუნდება მწვანე ხავერდ გადაფარებულ სტოლისაკენ (ჩრდილში), სადაც სრული სიჩუმეა. ეს ხალხი წინ ვაიგდებს ერთს ვილაცა, ყვირილით: «ეს იყოს მამასახლისად, ეს...» და მიაწყდება სტოლს... საშინელი ხმაურობა!

ცოტა ხნის უკან ისევ სიჩუმე ჩამოვარდება. შმკროსი მოხელე ხალხს დაწყობს ხალხი სამს დასად სდგება, რადგან სამი სხვა-და-სხვა აზრია მათში: ერთ წყობას ერთი სურს მამასახლისად, მეორეს მეორე და მესამესადაც სხვა; სამი სამამასახლისო კან-

დიდატებია: ერთი ეხლანდელი მამასახლისი და ორნიც სხვა.

პირველის წყობიდან, თუ რომელიც სამე ოჯახში ორი ხმა აღმოჩნდა ერთ-ერთი დაითხოვეს, დასთვალეს პირველი კანდიდატის ხმა და აღმოჩნდა 174. მალე მეორე წყობის თვლა დაიწყეს. მაგრამ აქ აღარ მოაგონდათ, რომ ერთისა და იმავე ოჯახიდან ორი და სამი ხმა არ იქნეს. ეს კრება «მამასახლისის» პარტიას შეადგენდა. ხმა აღმოჩნდა 199. ბოლოს მიჰყვეს ხელი მესამე წყობის ხმონების რიცხვის გაგებას. აქ კიდევ მოაგონდათ პირველი წესი, რომ ერთი ოჯახიდან ორი ხმონანი არ იქნეს. მესამე კანდიდატის პარტია აღმოჩნდა რიცხვით 77 კაცი.

მთელი რიგეა შესაბამისად 450 ხმონისაგან. აქედან 199 ხმონს სურდა ეხლანდელი «მამასახლისის» დარჩენა, ხოლო 251 უარზედ იდგა. არ იქნებოდა ურიგო ამ 251 ხმონისათვისაც ეკითხათ, თუ რომელს ირჩევენ იმ ორ კანდიდატ შორის, რომელთაც უმეტესი ხმა გამოუყვიდათ. ამ დროს ხალხში კვიჩია ასტყდა და უფროსის კითხვაზედ: — «ისურვებთ ძველს მამასახლისად?» მოისმა «არა არა» «კი—კი!» — «არა» — «ძველი იყოს!» «ძველი, ძველი!» და საქმე გადაწყდა.

ალ. იმერელი.

უცხოეთი

◆◆ ნემეცური გაზეთი «National Zeitung»-ი პრემიერში ორთა იმპერატორთა ნახვის გამო სწერს: «ადრე თუ გვიან მოსალოდნელი ომის ატება ბალკანის ნახევარს კუნძულზე დიდად აფიქრებს პოლიტიკურსა და სამხედრო წრეებს ავსტრიაში. აუცილებელი ინტერესები აიძულებენ ავსტრიის სახელმწიფო კაცებს, რაც შეიძლება ჩქარა გამოარკვიონ ყოველივე გარემოება საქმისა. სკერნევიცაში ნახვის დროს, როცა ინგლისის სამინისტროს მეთაურად მლადსტანი იყო, აზიაში ომით, თუ მშვიდობიანად საქმის გადაწყვეტა რუსეთის ხელთ იყო, მაგრამ ესლა გარემოება ერთიანად შეიცვალა, თუმცა ესლაც არ ითქმის, რომ რუსეთის ნება ყოფლობაზედ არ იყოს დამოკიდებული საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა. იმპერატორთა ერთმანეთის ნახვა პრემიერში განუანტავს ყოველ ექვს, რადგან ყველასაგან ცნობილი მშვიდობიანობის სურვილი რუსის მონარქისა გამომხატველია რუსეთის წადილისა მშვიდობიანობის დაცვისათვის. ზულოვიკარის გასაგლის დათმობა ავლანელებისთვის უნდა ჩაითვალოს რუსეთისაგან მშვიდობიანობის დაცვის სურვილად; ეს საქმე, ერთსა და იმავე დროს განმარტებს პრემიერში ნახვასაც. თუ კვლად არ დაეკარგავთ რწმუნებას მშვიდობიანობის შენახვაზედ, იმ რწმუნებას, რომელიც განმტკიცდა სკერნევიცაში სამთა იმპერატორთა ნახვის შემდეგ, მაშინ

პრემიერი დიდს სახელს დაიმსახურებს და ორთა იმპერატორთა ნახვას მადლობით მოიხსენებს მშვიდობიანობის მნატრელი ქვეყანა».

◆◆ ინგლისის მმართველობა კვლად შეუდგა იტალიასთან მორიგების საქმეს. იტალია თვის მხრით შემდეგს პირობას სდებს: თავის ხარჯით და პასუხის გეგმით განაგრძობს სუდანის კამპანიას, გინათავისუფლებას ქასალას და ამ საქმისათვის გალაშქრებს ოცდაათი-ათასს მეომარს. ჯარი უმჯობესად ოქტომბერში უნდა დაიძრას იტალიიდან. ნაცვლად ამისა, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ იტალიას გამარჯვება დარჩება, ინგლისი ვალად იდებს სუდანის აღმოსავლეთი დაუშორჩილოს იტალიას, და განსაკუთრებით მდ. ნილოსის ზევითა ტოტებსა და მეწამული ზღვის შორის მდებარე ყველა ადგილები იმ პირობით-კი, რომ ამ ადგილებში იყოს მსმალეთის სახელი მხოლოდ, როგორც უზენაესის მმართველისა. — იტალიისა და ინგლისის ოფიციალური ვერ მორიგებიან იმ აზრს, რომ ხსენებულ სახელმწიფოთა შორის ესეთი პირობა შეკრულიყოს, მაგრამ ბელგიური გაზეთები ქეშმარიტ ყოფენ ამ ფაქტს და ეს გაზეთები ხომ «ფრიალ სარწმუნო წყაროებიდან» ტყობულობენ ამბებს. ალბად ინგლისს, როგორც იტყვიან—თავი ქულში უნდა ჰქონდეს, რომ ასეთს პირობას უკრავს იტალიას და საჩუქრად ისეთს ადგილებს ჰპირდება, რომლის ბატონი თვით არ არის.

◆◆ მბულში ჩასულა ახალი წარმომადგენელი ინგლისისა; ავლანის ემირმა დიდი უფლება მისცა თავის ქვეყანაზე თვის მოკავშირე დიდს ბრიტანიას. ახალს წარმომადგენელს მინდობილი აქვს: ხელმძღვანელობა გაუწიოს აბდურჰამანს ყოველს საქმეებში, გაარჩიოს ამის მიწერ-მოწერა ავლანის სხვა-და-სხვა ხალხების მთავრებთან, წინააღმდეგობა გასწიოს, რომ ემირმა არავითარი დამოკიდებულება არ იქონიოს რომელიმე სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით რუსეთთან—ერთის სიტყვით ვიცე—ემირის მოვალეობა შესრულოს. მოურიგდებიან ავლანელნი და ამათი მბრძანებელი ასეთს გადაწყვეტილებას, თუ არა—ამას მომავალი გამოაჩენს; მხოლოდ ეს კია, რომ ხსენებული წარმომადგენელი ალტაცებით მიიღეს ქაბულში და ჯერაც დიდის პატივის-ცემით ექცევიან მას.

◆◆ მუღმიევი ჯარი ინგლისისა 1885 წ. იანვრის 1 ყოფილარცხვით 188,657 კაცი; მილიციაში არის 102,627 კ., ცხნოსან ჯარში 11,692 კაცი. ეს რიცხვი ხმელეთის ჯარისა ინგლისისათვის ვერ შეადგენდა მაინცა-და მაინც დიდს სახედრო ძლიერებას ომის დროს, რომ ინგლისს ვოლონტიორების ჯარი არ ჰყავდეს, რომლის რიცხვი 213,015 კაცამდეა ამ უკანასკნელ დროს ინგლისი ენერგიულად შეუდგა ზღვის ძალის უფრო გაძლიერების. ბრიტანიის ჯავშნიან ხომალდებზე მო-

მართულია ისეთი ზარბაზნები, რომელთაც თითო გატენაზე ქვეყანასაშუალო გირვანქა წამალი უნდებოდა; ყუმიანა ამ ზარბაზნისა ათას სამასამდე გირვანქას იწონს და გასროლის პირველ წამებში სამას საყენს გადის თითო წამში; ასეთი ზარბაზნები რამოდენიმე ხომალდზე აქეთ მომართული და ერთს ხომალდზე—ბენზოლზე—კიდევ ამაზედ უძლიერესი სამი ზარბაზანი, რომელთაც ყოველს გატენაზე ცხრას-ცხრასი გირვანქა წამალი უნდებოდა; ყუმიანა ამათი იწონს 45—50 ფუთს და წამში გასროლისათნავე გადის სამასამდე საყენს.

◆◆ ზაზეთს «რუსკი ქურიცის» სწერენ სტამბოლიდან: შაბათ საღამოს გაზეთს «არეველს» მოუყვიდა ტელეგრაფმა, რომელშიაც გვაცნობა, რომ მისს უდიდებულესობას რუსის იმპერატორს დაუმტკიცებია მკარნი ენისკოპოსი სრულიად სომხეთა კათალიკოსად. მსმალოს მმართველობას, თავის მხრით, სურს შეურიგდეს სომხებს იმ პირობით, რომ იმათ სრულიად დასტოვონ ფიქრი «სომხის საქმეზე». ინგლისში კონსერვატორების გამეთაურობის შემდეგ, სომხების საქმე კვლად გაცოცხლდა და უქვევლია, სერ-დრუმონდ-ვოლფიცი მოითხოვს რამოდენიმე ცნობებს ამ საგანზედ. ლონდონში მცხოვრებმა, ვილაც ხაგაპიანმა, დაბეჭდა გაზ. «Times»-ში რამოდენიმე წერილი შესახებ სომხების საქმისა და მოლაპარაკება გამართა ლორდ სალისბიურთან, რომ ეს საქმე წარმატებით წავიდეს. ლონდონის საზოგადოებათა პალატის ამტყდარმა სჯამ ამაზედ გავლენა იქონიეს მსმალეთის დიპლომატიურ წრეებში. საიდ-ფაშამ მიიწვია სომხების ახალი პატრიარქი ხარუთიანი და გამოუცხადა უკმაყოფილება ხონტქრის მმართველობისა სომხების საქმის ახლად აღძვრის გამო. «მანა ეს ხაგაპიანი სომხის ელჩია ლონდონში?» ჰკითხა დიდმა-ვეზირმა პატრიარქს. ათი დღის შემდეგ, საიდ-ფაშის სურვილით, პატრიარქს უნდა გავგზავნა ლონდონში მსმალოს ელჩის მუსურუს ფაშისათვის შემდეგი დეპეშა: «ბ. ხაგაპიანს არ მიუღია მინდობილობა ილაპარაკოს ოსმალოს სომხების მაგიერ, რომელნიც ბედნიერებად სთვლიან მის დიდებულების ქვეშევრდომობას. ხარუთიანი, პატრიარქი ოსმალოს სომხებისა». ეს ამბავი გავრცელდება სტამბოლში მხოლოდ ხელ და უქვევლია დიდს უკმაყოფილებას გამოიწვევს, განსვენებული პატრიარქი ნერსესი არასოდეს არ დასწერდა ამ გვარს დეპეშას; მაგრამ ახალს პატრიარქს ჰსურს, რომ სომხები ოსმალოს მმართველობის მოწყალეებაში იყვნენ.

◆◆ მლივიე-პენის შესახებ, რომლის გამო ასეთი ალიაქოთი ასტება პარიჟში რომუორომა, ბომბეიდან სწერენ ინგლისის გაზეთებს: პარიჟში ასამართლებდენ ერთს კაცს რომელიც პატრ მონოვიჩის უწოდებდა თავის თავს და რომელიც დატუსაღებუ-

